ნინო ჯაველიძე

„ხუთჯვრიანი" სიმბოლო თათარ-მონღოლთა საერო და საკულტო არტეფაქტებზე

„... ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი ქრისტეანები გვეგონა, მაგრამ, როგორც კი მივხვდით, რომ ისინი კეთილი ქრისტეანები არ იყვნენ, მაშინვე შეერთებული ძალებით შევუტიეთ"...

რუსუდან დედოფლის წერილი
რომის პაპისადმი

„... როდესაც ჩვენ ვემზადებოდით... რათა წამოვსულიყავით ქრისტეანების დასახმარებლად და წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად, ჩვენს ქვეყანას ჯვრის ნიშნებით შენიღბული თათრები შემოესივნენ".

ივანე მხარგრძელის წერილი
რომის პაპისადმი

შესავალი

ისტორიული საბუთებიდან ცხადდება, რომ კავკასიაში შემოჭრილ მონღოლებს ქართველები აღიქვამდნენ „ქრისტეანებად", რადგანაც ისინი მოემართებოდნენ „ჯვრის ნიშნებით შენიღბულნი". ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცნობის თაობაზე ნათქვამია, რომ ქართველებმა ჯვრების სახით სინამდვილეში აღიქვეს მონღოლთა სარიტუალო საგანზე გამოსახული, ჩინგის ხანის გვარის ტოტემის, იაკის გადაჯვარედინებული ძვლები, თუღი (ნ. ხოფერია). თუმცა ჩნდება კითხვა - ხომ არ იყო მონღოლთა შტანდარტებზე მართლაც გამოსახული ჯვრები და არსებობს თუ არა საფუძველი, რომ მონღოლთა ლაშქარი, რომელიც შედგებოდა არა მხოლოდ მონღოლი მეომრებისგან, არამედ მის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ მრავალრიცხოვანი თურქ-ოღუზები, „აღჭურვილი" ყოფილიყო „ჯვრის ნიშნებიანი" დროშებით; ეს კითხვა მით უფრო უპრიანი ჩანს, თუ კი გადავხედავთ თათარ-მონღოლთა საერო და საკულტო სახისმეტყველებას, კერძოდ, მასში ჯვრისა და „ხუთჯვრიანი" ნიშნის შეღწევა-დამკვიდრების საკითხს.

მეთოდი

ნაშრომში მოხმობილი და განხილულია შუა აზიის (თურქესტანის) ტერიტორიაზე მოპოვებული არტეფაქტები, რომლებიც განეკუთვნებიან მონღოლების, თურქ-ოღუზებისა და შუა აზიის ქრისტეან (ნესტორიანი, იაკობიტი, მელქიტი...) მოსახლეობას. ამ ნიმუშების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მიღებულია დასკვნები მკვიდრ ეთნოსთა კულტურების ურთიერთგავლენის საკითხის თაობაზე.

შედეგები

ოქროს ურდოსა და შუა აზიის მონღოლთა ულუსების სინამდვილიდან წარმოჩნდა, თუ როგორ მიზანდასახულად ინერგებოდა კათოლიკ-მისიონერთა მიერ „ხუთჯვრიანი“ ნიშანი თათარ-მონღოლთა საერო და საკულტო სიმბოლოთმეტყველებაში. აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კავკასიაში შემოჭრილ მონღოლთა ლაშქარს შესაძლებელია, თავიანთ დროშებზე ჰქონოდათ ჯვრიანი ან „ხუთჯვრიანი“ სიმბოლოები.

მსჯელობა

დასავლეთ ევროპაში პირველი ქრისტეანული „ხუთჯვრიანი” სიმბოლო, ვანდალ-ალანთა სამეფოს (439-534 წწ.) სინამდვილიდან არსებული არტეფაქტების მიხედვით, თარიღდება V საუკუნით. ქალკედონნი და ქალკედონის კრების (451 წ.) მოწინააღმდეგენი უკვე განყოფილნი არიან და, ამდენად, „ხუთჯვრიანი” სიმბოლო ამთავითვე წარმოადგენს კათოლიკური (არაქალკედონური) სიმბოლოთმეტყველების ნიმუშს. ამიტომაცაა, რომ ეს ნიშანი ადრე შუა საუკუნეებში გვხვდება იმ ეთნოსების სასულიერო თუ საერო ხელოვნების სახისმეტყველებაში, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ, უპირისპირდებოდნენ ქალკედონ-მართლმადიდებლებს. ასეთნი იყვნენ ნესტორიანნი, კათოლიკნი, გრიგორიანნი, მელქიტები, იაკობიტნი და ა.შ. განვითარებული შუა საუკუნეებიდან „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო თანდათან აღწევს მართლმადიდებლური ქვეყნების ხელოვნებაში, ხოლო ჯვაროსნობის ეპოქაში იგი ვრცელდება მახლობელი აღმოსავლეთისა და შემდგომ შუა აზიის სახელმწიფოების კულტურაში. ამ პროცესის მიღმა არ დარჩენილან არც მონღოლები, რომელთა ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სფეროში „ხუთჯვრიანი” ნიშანი მოჩანს ნუმიზმატიკის ნიმუშებზე, საკულტო ნაგებობების რელიეფებზე და სხვადასხვა სახის არტეფაქტებზე. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც დასავლეთევროპელი მისიონრები და მოგზაურები (გიიომ რუბრუკვისი, ბართოლომეო, მარკო პოლო...) ჯუჩის ულუსსა (1224 წ.) და მის შემდეგდროინდელ ოქროს ურდოს სტუმრობდნენ მისი დაარსებიდან მალევე. ეს მომრავლებული მოგზაურები აშკარად თუ მალულად მონღოლთა შორის ეწეოდნენ აგიტაციას საკუთარი ღირებულებების სარფიანობა- მიმზიდველობის შესახებ, რა დროსაც იყენებდნენ კათოლიკურ სიმბოლოებსაც, ანუ მათ პროპაგანდას ემსახურებოდა მათივე სიმბოლოთმეტყველების საშუალებანი. ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ არც მონღოლები ეწინააღმდეგებოდნენ მისიონრებთან ურთიერთობას, რადგანაც მონღოლები ფრიად მოწადინებული იყვნენ საქარავნო გზების მეშვეობით ევროპულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთკავშირებისა და ამით უნდა აიხსნებოდეს მათი კეთილგანწყობა კათოლიკი მისიონრებისადმი. ერთი სიტყვით, დასავლეთის სამყარო მონღოლთათვის ჩანდა მიმზიდველი სავაჭრო-ეკონომიკური არეალი.

კათოლიკ-მისიონრებს შუა აზიაში გარკვეულწილად უადვილდებოდათ საქმიანობა იმის გამო, რომ აქ ადრე შუა საუკუნეებიდან არსებობდა ქრისტეანთა თემები, რომელნიც მონღოლთა ბატონობისას ქმნიდნენ ხელსაყრელ ნიადაგს კათოლიკთა მოღვაწეობისთვის. ევროპელ და მცირეაზიელ ეთნოსთა არსებობა შუა აზიაში სათავეს იღებს ძვ.წ. აღ.-ის VI-V

საუკუნეებიდან.წყაროთა თანახმად, აქემენიანთა მეფე ქსერქსემ (486-461 წწ.) შუა აზიაში გადაასახლა მილეთელი ბერძნები, იგივე ბრანქიდები (აპოლონ დიდიმელის ქურუმები) და ისინი იყვნენ პირველი ელინები, ვინც ძვ. წ. აღ-ის V საუკუნეში დასახლდნენ ტრანსოქსიანაში (ამუდარია-სირდარია). ბერძენ-მაკედონელთა დიდი ტალღის გადასახლებას შუა აზიაში ვარაუდობენ ალექსანდრე მაკედონელის დროსაც, რაც გახლდათ მათი რიგით მეორე მიგრაცია ცენტრალური აზიის მიმართულებით. შემდგომ საუკუნეებში „ბერძნული ფონი" დასტურდება კამპირ-თეფეზე, დასახლება პანდოქეიონში (ჩრდილოეთი ბაქტრია), რის შესახებ ცნობები შემონახული აქვს სპარსელ მემატიანეს, ჰაფიზ-ი აბრუს (XV ს). ამრიგად, ელინ-მაკედონელთა და მცირე აზიელი ეთნოსების არსებობა ცენტრალური აზიის მიწა-წყალზე აღიქმება როგორც ისტორიული ფაქტი[1]. სწორედ მათი შთამომავალნი იგულისხმებიან იმ ქრისტეანებში, ვინც სახელდებიან შუა საუკუნეების ცენტალურ აზიაში და რომელთა არტეფაქტები ჯვრებისა და სხვა ქრისტეანული ნიმუშების სახით მრავალ ადგილას მოიპოვება შუა აზიის ტერიტორიაზე. საყურადღებოა, რომ ალ-ბირუნის (973-1048 წწ.) თანახმად, X-XI სს-ში ოღუზები განსახლებულნი იყვნენ ხვარაზმთან ახლოს, სადაც ცხოვრობდნენ არანესტორიანი ქრისტეანები. ჰამდალლაჰ ყაზვინი ოღუზებს პირდაპირ უწოდებს ქრისტეანებს - ჩანს, მათი ნაწილი იზიარებდა ქრისტეანობას. სომეხი ავტორი ჰათუმი (XIV ს) წერს, რომ მის დროს ხვარაზმელი ქრისტეანები ემორჩილებოდნენ ანტიოქიის პატრიარქს, ე.ი., ისინი უნდა ყოფილიყვნენ მელქიტები ან იაკობიტები. აბუ დულეფის თქმით, ოღუზებს ჰქონდათ ქრისტეანული ტაძარი, მაგრამ „გამოსახულებების", ე.ი, ფრესკების გარეშე. იგივე ავტორი წერს, რომ ჯიქილის გვარ-ტომშიც ზოგიერთნი იყვნენ ქრისტეანები. ქ. ჯიქილი ნახსენებია X საუკუნის არაბ გეოგრაფებთან და მას ათავსებენ ქ. თალასის შორიახლოს, რომელ ქალაქში ასევე ცხოვრობდნენ ქრისტეანები. ცნობილია, რომ არაერთი ქრისტეანული ეკლესია (მაგალითად, ქ. თალასში, ქ. მერვში...) მუსლიმმა ემირებმა X საუკუნეში გადააკეთეს მეჩეთებად. შუა აზიის ზოგიერთ ქალაქში „ურწმუნოთა" არსებობა ჩანს აღმოსავლური წყაროებიდან, სადაც ნათქვამია, რომ სავაჭრო პუნქტებში, რომლებსაც მართავდნენ ქრისტეანები, მუსლიმ ვაჭრებს უწესებდნენ გადასახადებს. შუა აზიელი ქრისტეანები არსებობდნენ მონღოლთა ბატონობის დროსაც და მათი მდგომარეობა მცირე ხნით გაუმჯობესდა კიდეც გუიუქ ხანის მმართველობისას (1246-1248 წწ.), ვისაც ქრისტეანული განათლება ჰქონდა მიღებული. შუა აზიის ქრისტეანული თემი შედარებით უფრო მეტ ხანს შემორჩა სირდარიის ქვემო წელის რეგიონში, სადაც უკვე XII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა არამუსლიმური თურქულენოვანი სამფლობელო ცენტრით საგანაკი. აქ მოსახლე წარმართი

1 ს.პ. ტოლსტოვის აზრით, ქ. ხვარაზმის ეტიმოლოგია უკავშირდება მითანის სახელმწიფოს დამაარსებელი ხვარი-ხარრის (ხურიტების) ეთნონიმს. საგულისხმოა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ზეობისას ხვარაზმს მართავდა მეფე სახელად ფარასმანი, ვინც მაკედონელს შესთავაზა წასულიყო „მისი ქვეყნის მეზობლად მოსახლე კოლხებისკენ". ცნობილია, რომ ხურიტები და მცირე აზიის სხვა არაინდოგერმანელი ტომები (ხათები, ურარტელები, ქალდეველნი) სახელდებიან როგორც ქართველთა მონათესავე ეთნოსები.

თურქები, ჩანს, საკუთარ რწმენას ინარჩუნებდნენ ირგვლივ მცხოვრები ქრისტეანების გავლენის მეოხებით[2]. ამდენად, შუა აზიის მონღოლთა სამფლობელოებში მცხოვრები ქრისტეანები წარმოადგენდნენ ერთგვარ დასაყრდენს დასავლეთევროპელ კათოლიკთათვის, რათა მათ უფრო მეტად გაეშალათ საკუთარი სამისიონერო საქმიანობა მოსახლეობაში და გაეფართოებინათ პაპის უნიის გავლენა.

ერთი სიტყვით, ცენტრალურ აზიაში ქრისტეანები კომპაქტურად სახლობდნენ **ხვარაზმში**, რომელიც შედიოდა ოქროს ურდოში, **ხორასანში**, რომლის ნაწილი ეკუთვნოდა ჰულაგუიდების სახანოს, **შვიდმდინარეთში**, რაც **მავერანნაჰრთან** ერთად შეადგენდა ჩაღათაის ულუსს და სხვ. ცენტრალური აზიის აღმოსავლეთ მხარეში კათოლიკთა პროპაგანდა დაიწყო ილჩიგიდაის (-1326 წ.) დროს, რომლის ულუსში მუსლიმები იყვნენ უმცირესობა, ხოლო მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ შამანები, ამიტომ აქ უფრო იოლი იყო კათოლიციზმის გავრცელება. საპირისპიროდ ამისა, მავერანნაჰრში, სადაც მუსლიმები შეადგენდნენ მცხოვრებთა უმეტესობას, მისიონერთა აგიტაცია იზღუდებოდა ძლიერ და ასპარეზიც, შესაბამისად, იყო მცირე. ჯანკში ხანმა (1334-), ვინც არ იყო მუსლიმი და მფარველობდა ქურუმებს, ნესტორიანებს, კათოლიკებს, თავისი ცენტრი გადაიტანა ალმალიკში, სადაც გაიშალა კიდეც კათოლიკთა მისიონი. ქ. ალმალიკთანვე აშენდა ეკლესია, რისი მოთავეც იყო ფრანცისკელი ბერი ნიკოლაი. ხოლო ადგილი, სადაც აღიმართა ეს ეკლესია, მას შესწირეს, სავარაუდოდ, ნესტორიანმა დიდმოხელეებმა, მონღოლთა ხანის კარზე რომ მსახურობდნენ. კათოლიკებმა ქრისტეანობა გაავრცელეს სტეპებშიც - მომთაბარეებთან. თუმცა შვიდმდინარეთში, ბალხამის სამხრეთით აგიტაცია წარმატებით ვერ წარმართეს და მათ ნესტორიანთა გადაბირებაც ვერ შეძლეს. 1339 წელს მავერანნაჰრში დაიწყო ქრისტეანების დევნა, რა დროსაც ამოწყვიტეს კათოლიკი მისიონრები და, ჩანს, მრავალი შუა აზიელი ნესტორიანიც შეეწირა ამ სისხლიან მოვლენებს.

შუა აზიის ქრისტეანი (ნესტორიანები, იაკობიტები, მელქიტები) მოსახლეობის შესახებ ცნობები იმიტომაც მოვიხმეთ, რომ მათი არსებობის დამადასტურებელი არტეფაქტები ჩვენთვის საყურადღებოა მრავალმხრივ. ჯერ ერთი, ამ ნივთებში მოიპოვება უამრავი ნაკეთობა ჯვრის სახით, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მსგავსებას პოულობენ დასავლეთევროპული, ბიზანტიური და რუსული სასულიერო ხელოვნების ნიმუშებთან. მეორე, და, რაც მთავარია საკვლევ თემასთან დაკავშირებით, შუა აზიელი ქრისტეანების კუთვნილ ნივთებში მოიძიება „ხუთჯვრიანი" ნიშნით გამოსახული არტეფაქტები, რომლებიც არ უკავშირდებიან კათოლიკური მისიონების გაჩენას მონღოლთა ულუსებში, ვინაიდან ეს არტეფაქტები თარიღდებიან ადრე შუა საუკუნეებით, ანუ იმ პერიოდით, როდესაც პაპის უნია შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით ჯერაც არ გზავნიდა ორდენებს სააგიტაციოდ. გთავაზობთ ამ ნიმუშთაგან რამდენიმეს[3]:

2 Бартольд В.В., Сочинения, т. II, часть 2, Москва, 1964, გვ. 286, 319.

3 Куряшкин А.Н., Время собирать камни, Семей, 2025, გვ. 185, 221, 314.



„ხუთჯვრიანი“ ბალთა (VI ს)
თოქმაქის მთისწინეთი,ყირგიზეთი



დასადგამი „ხუთჯვრიანი“ ნიშნით(XI ს)
თურქესტანის ოლქი



ქამრის „ხუთჯვრიანი“
აღკაზმულობა (VI - VIII სს)
ბით-თეფე (ჩუის ველი), ყირგიზეთი



„ხუთჯვრიანი“ გულსაკიდი
ჯვარი (XI-XII სს) ბურანის ნაქალაქარი,
ყირგიზეთი

ბურანის ნაქალაქარიდან წარმოდგენილ „ხუთჯვრიან“ გულსაკიდზე ოთხი პატარა ჯვარი განლაგებულია ცენტრალური ჯვრის გვერდებზე და არა მათ შორის. ზუსტად ასეთი სახის „ხუთჯვრიანი“ ნიშანი ამოტვიფრული იყო მეფე გიორგი ბრწყინვალეს საბეჭდავზე, რომლის ანაბეჭდი შემოგვინახა დავით გარეჯას ხელნაწერმა. ყირგიზული არტეფაქტი თარიღდება XI-XII სს-ით, იმავეეპოქით, როდესაც საქართველოში დამზადდა გიორგი ბრწყინვალეს საბეჭდავი. ამ თემას უკავშირდება ერთი ისტორიული ძეგლის საკითხი, რაც საბჭოთა სამეცნიერო წრეებში ცნობილი იყო XX საუკუნის 30-იანი წლებიდან და ეს არტეფაქტი მკვლევართა მიერ (მ.ე. მასსონი) განიხილებოდა როგორც თურქესტანელ ნესტორიანთა სიმბოლოთმეტველების ერთ-ერთი ვარიანტი . ეს გახლავთ თიხის დაშტამპული ფილა, სადაც რელიეფურად გამოსახულია „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო. მხარეთმცოდნე ი.გ. ეგოროვმა 1930 წელს იგი აღმოაჩინა მერვის ნაქალაქარზე, გიაურ-კალაში და დამზადების ტექნიკისა და თიხის ხარისხის მიხედვით იგი დაათარიღეს ადრე შუა საუკუნეებით[4].

4 Мурадов Р.Г., Археологические следы раннего христианства в Северной Парфии и Маргиане, труды ОТАКЭ, т. XV, Ашхабад, 1954, გვ. 155-181.



ადრე შუა საუკუნეების „ხუთჯვრიანი“ ბარელიეფი მერვის ნაქალაქარი, გიაურ-კალა, თურქესტანი

თურქესტანის მიწა-წყალზე კვლავაც მოიპოვება ნიმუშები მსგავსი სიმბოლოთი, ამავე ეპოქსა რომ განეკუთვნება. ერთი მათგანი ნაპოვნა ოთრარას ნაქალაქარში, ყაზახეთში[5], ხოლო მეორე არტეფაქტი აღმოაჩინეს შურაბაშათში, ყირგიზეთის ტერიტორიაზე[6].



„ხუთჯვრიანი“ რელიეფი (VIII-IX სს) ოთრარა, ყაზახეთი.



თიხის ჭურჭელი „ხუთჯვრიანი“ ძირით. ყირგიზეთი (X-XII სს)

ამ ნიმუშების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონღოლთა ულუსებში „ხუთჯვრიანი” ნიშანი უნდა გაჩენილიყო მკვიდრი ქრისტეანების ნაკეთობათა მიბაძვით, თუმცა ეს იქნებოდა ერთ-ერთი და არა ერთადერთი გზა კათოლიკურ-ნესტორიანული სიმბოლოს შეღწევისა მონღოლთა ნუმიზმატიკაში.

თუ როგორ ცდილობდნენ თანდათანობით გაევრცელებინათ კათოლიციზმი ოქროს ურდოში, კარგად ჩანს ჯუჩის ულუსის მონეტებიდან, რომლებზეც მოჩანს კათოლიკურ სიმბოლოებს მიმსგავსებული ორნამენტები. წარმოგიდგენთ ერთ-ერთ მონღოლურ საფასეს, რომლის მსგავსი

5 КСИИМК-КСИА, № 28, Москва, 1946, გვ. 87.

6 КСИИМК-КСИА, № 120, Москва, 1962, გვ. 43.

მრავლად არსებობს და რომლებიც მოთავსებულია მკვლევარ ჰ.მ. ფრენის მიერ კომენტირებულ კატალოგში[7].



ჯუჩის ულუსის მონეტა

ჰ.მ.ფრენიამდამისიმსგავსიმონეტებისშესახებწერს,რომ„შეუძლებელია დაზუსტდეს მათი ემისიის დრო, მფლობელი არ არის მითითებული და ლეგენდები არ იკითხება". ჯუჩიდების ეს მონეტები, ვფიქრობთ, უნდა მოჭრილიყო ულუსის არსებობის (1224-1243) წლებში, ან მის შემდგომ მალევე და მათი იკონოგრაფია გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ორნამენტები შექმნილია „ჯვაროსნული სახელოსნოს" გავლენით, როდესაც მონეტებზე ჯერაც არ არის გამოკვეთილი „ხუთჯვრიანი" სიმბოლო, მაგრამ მოჩანს ნიშნები ამ სიმბოლოს მიმსგავსებისა. რა გვაძლევს ასეთი ვარაუდის საშუალებას - ანალოგიისთვის შეგვიძლია დავასახელოთ მაგალითი ქართული ნუმიზმატიკიდან, კერძოდ, დავით აღმაშენებლის დროს მოჭრილი ბოლო ორი მონეტა, რომელთა ემისია თავსდება 1118-1125 წლებს შორის. პირველ მათგანზე,1118 წელს ლორეს შემოერთების შემდგომ რომ არის მოჭრილი და მის ლეგენდაში პირველად გვხვდება სიტყვათშეთანხმება „მეფე სომეხთა", პატარა ნახევარსფეროები მოთავსებულია ჯვრის ტოტების გასწვრივ,მათგაყოლებაზე,ხოლობოლომონეტაზეოთხიცალინახევარსფერო განთავსებულია ჯვრის ტოტებს შორის და გამოსახულია „ხუთჯვრიანი" ნიშანი. ინგლისელმა მკვლევარმა დ. ლენგმა დავით აღმაშენებლის 1118 წლის მონეტის თაობაზე შენიშნა, რომ „მის იკონოგრაფიაში შერწყმული იყო ბიზანტიური და ჯვაროსნული ელემენტები", ე.ი. მონეტაზე მოცემულია მხოლოდ ნიშნები (ელემენტები) ჯვაროსნული სახელოსნოს ხელწერისა. მსგავსად ამ მაგალითისა, ჯუჩიდების ადრეულ მონეტებზე წერტილოვანი ნახევარსფეროების განლაგების მიხედვით შეინიშნებოდა„ელემენტები", დამახასიათებელი ჯვაროსნული სახელოსნოსთვის. ჩვენს თვალსაზრისს ადასტურებს შემდგომი პერიოდის მონღოლური მონეტები, რომლებზეც უკვე მკაფიოდ არის ასახული კათოლიკ-ჯვაროსანთა „ხუთჯვრიანი" სიმბოლო. მაგალითისთვის მოვიხმობთ **ბათო ხანის (1209-1256 წწ.)** – ჩინგის

7 Монеты ханов Улуса Джучиева, или Золотой орды, С-пб., 1832, გვ. 107.

ხანის შვილიშვილისა და ჯუჩი ხანის მეორე ვაჟიშვილის მონეტას, რაზეც გამოსახულია „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო.



ბათო ხანის მონეტის ავერსი, „ხუთჯვრიანი“ დამღა

ბათო ხანის მონეტის რევერსი, „ხუთჯვრიანი“ ნიშანი

ბათო ხანის კუთვნილ არტეფაქტებს ქრონოლოგიურად მიჰყვება ოქროს ურდოს ხანის, **თოხთა ხანის (1291-1312)** მონეტა, სადაც ასევე მოჩანს „ხუთჯვრიანი” ნიშანი. ამ საფასეზე იკვეთება ჯვარი, რომელიც ნაწილობრივ „აყვავებულია” და ჯვრის გვერდებს შორის მოთავსებულია ოთხი წერტილოვანი ნახევარსფერო. მონეტა მოჭრილია XIII და XIV საუკუნეთა მიჯნაზე.



თოხთა ხანის (1291-1312) „ხუთჯვრიანი“ მონეტა

შემდგომი მონეტა გახლავთ **ფოლად-ხანის (1407-1410 წწ.)** სახელზე ემისირებული საფასე. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ვიხილოთ მისი გრაფიკული მონახაზი, რადგანაც მონეტა ძლიერ დაზიანებული ჩანს და შეუიარაღებელი თვალით „ხუთჯვრიანი” სიმბოლოს დანახვა ერთობ უნდა ჭირდეს. ფოლად ხანის საფასეზე სქემატურად გამოსახულია ისეთივე „ხუთჯვრიანი” ნიშანი, როგორიც არის ერთ-ერთ კოპტურ ბარელიეფზე, სადაც ნახევარსფეროები მოთავსებულია ჯვრის გვერდებზე. ორივე არტეფაქტზე გამოსახულია ქრისტეს ჯვარცმის კათოლიკური სიმბოლო (გვ. 13).



ფოლად ხანის (XV ს) „ხუთჯვრიანი“ მონეტა



კოპტური „ხუთჯვრიანი“ რელიეფი (VI ს), ეგვიპტე

ნუმიზმატიკის სფეროდან უნდა მოვიხმოთ კიდევ ერთი მონღოლური მონეტა, რომელზეც ასევეა„ხუთჯვრიანი” ნიშანი. ეს გახლავთ ყაზანის სახანოს პირველი ხანის, **ულუ მუჰამედის (1405-1445 წწ.)** საფასე, ვინც სხვადასხვა წლებში იყო ოქროს ურდოს, ყირიმის სახანოს ხანი, ხოლო 1438-1445 წლებში მართავდა ყაზანის სახანოს. მის მონეტაზე ამოტვიფრულია ისეთივე „ხუთჯვრიანი” ნიშანი, როგორსაც ვხედავთ თოხთა-ხანის დროინდელ საფასეზე, ოღონდ თვალში საცემია, რომ ულუ-მუჰამედის მონეტისეული „ხუთჯვრიანი” ნიშანი შესრულების ხარისხით აღემატება თითქმის საუკუნენახევრის წინ ემისირებულ მონღოლურ მონეტას და ამ მხრივ მისი იერ-სახე ბევრად უფრო გამოკვეთილია.



ოქროს ურდო. ულუ მუჰამედი (1419-1425 წწ.)

აქვე წარმოვაჩენთ ჩაღათაელ ხანთა მონეტებს, რომლებზეც ამოტვიფრულია „ხუთჯვრიანი“ ნიშანი. ესაა **დევლეთ შაჰისა და უცნობი მმართველის** მონეტები (გვ. 14).

კათოლიკ მისიონერთა პროპაგანდისტული სიმბოლოთმეტყველება არ შემოიფარ-გლებოდა მხოლოდ მონღოლთა გარემოცვით და მათი აგიტაცია თურქულენოვან ტომებშიც (тюрки) აღწევდა. ამის დასტურია ყირგიზეთში, ისიკ-ყულთან ნაპოვნი მონეტები, რომელთა ემისია განეკუთვნება სულთან შაჰრუჰის (1370-1407 წწ.) პერიოდს. მოვიხმობ რამდენიმე „ხუთჯვრიან“ მონეტას[8].

8 Брагин А.О., Камышев А.М., Клад Тимуридский медных монет Иссык-куля, сб., Культурное наследие Евразии, Алмата, 2016, გვ. 546.



დევლეთ შაჰის (1436-1495 წწ.) „ხუთჯვრიანი“ მონეტა



უცნობი ჩაღათაელი მმართველის „ხუთჯვრიანი“ დირჰემი



ოღუზთა ანონიმური „ხუთჯვრიანი“ მონეტები (XIV ს), ყირგიზეთი

დაბოლოს, უნდა ვახსენოთ „ხუთჯვრიანი” მონეტა, ე.წ. „ჰაბბა“, ანუ ვერცხლის წვრილი მონეტა, რომელიც უტოლდებოდა 1/48 დირჰემს და რომელზეც ასევე გამოსახულია „ხუთჯვრიანი” ნიშანი. ასეთი მონეტები მრავლად მოიპოვებოდა მდ. სირდარიის გაყოლებით, სანაპირო დაბლობებზე, სადაც ოღუზმა ტომებმა XII საუკუნის ბოლოს შექმნეს წარმართული თურქულენოვანი სახელმწიფო და რომელთა ერთი ნაწილი აღიარებდა ქრისტეანობას. „ჰაბბას” ტიპის „ხუთჯვრიანი” მონეტები ასევე დასტურია კათოლიციზმის გავლენისა შუა აზიელ თურქ-ოღუზთა ნუმიზმატიკის სფეროზე.



ოღუზთა „ხუთჯვრიანი“ მონეტა „ჰაბბა” (XII ს)

აქ მოხმობილი მონღოლურ-ოღუზურიმონეტებით (XII-XV სს) გამოჩნდა ის გრაფიკული ცვლილებები, რითიც გამოირჩეოდა გვიანი შუა საუკუნეების ცენტრალურ აზიაში ემისირებული, „ჯვაროსნული სახელოსნოს" ხელწერით შესრულებული მონეტები.

ირკვევა, რომ ნუმიზმატიკის გარდა „ხუთჯვრიანმა" სიმბოლომ თავი იჩინა შუა და შორეული აზიის ხალხთა ყოფით სფეროსა და საკულტო არქიტექტურის ძეგლებზეც. უპირველესად უნდა ვახსენოთ დასავლეთი თურქესტანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჟეტისუს რეგიონში, კაიალიკის ნაქალაქარზე მდებარე მავზოლეუმების სამარხებში აღმოჩენილი არტეფაქტები, რომელთაგან აღსანიშნავია ქალის სამარხში ნაპოვნი ოქროს ორი ბეჭედი, ზედ ამოტვიფრული „ხუთჯვრიანი" სიმბოლოთი.



ოქროს ბეჭდები „ხუთჯვრიანი" ნიშნებით. კაიალიკი, დასავლეთი თურქესტანი

ეს ნიმუშები დასტურია, თუ როგორ მკვიდრდებოდა კათოლიკურ-ნესტორიანული სიმბოლოები XIII საუკუნის შუა აზიის თურქულენოვან მოსახლეობაში[9].

ყაზახეთის ულითაუს რაიონში, ქ. ჟეზკაზგანთან მდებარეობს ჯუჩი ხანის მავზოლეუმი, რომელიც შემორჩენილი იყო ნახევრად დანგრეული სახით. ფიქრობენ, რომ იგი აგებულია XIII საუკუნის I ნახევარში, ხოლო მისი რეკონსტრუქცია უნდა ჩატარებულიყო ორ ეტაპად: სავარაუდოდ, XIII საუკუნის ბოლოდან XIV საუკუნის პირველ ნახევრამდე და XIV საუკუნის ბოლოდან XV საუკუნის დასაწყისამდე. ასევე ფიქრობენ, რომ ამ მავზოლეუმში დამარხულნი არიან არა თავად ჯუჩი ხანი და მისი ოჯახი, არამედ აქ განისვენებენ ოქროს ურდოში ისლამის გამავრცელებელი, სუფიური ორდენის წევრები. თავდაპირველად ეს მავზოლეუმი არქიტექტურულად გამოხატავდა მონღოლთა წარმართული რწმენის ელემენტებს. ცნობილია, რომ ჯუჩი ხანი იყო წარმართი მმართველი და აღიარებდა მონღოლთა „ფირუზისფერი ცის" კულტს. ყაზახმა მკვლევრებმა

9 Железняков Б.А., Мавзолеи и ханака Средневекового Каялыка, Сб., научных статей, Алмата, 2016, გვ. 157.

სარესტავრაციო სამუშაოების დროს მავზოლეუმის ორ, შიდა და გარე ცისფერ თაღს შორის, ნანგრევებში შენიშნეს ნიშა, რომელშიც აღმოაჩინეს თიხისგან დამზადებული ფილა მავზოლეუმის მაკეტის გამოსახულებით.



ჯუჩი ხანის მავზოლეუმი (XIII ს)



მავზოლეუმის სარესტავრაციო მაკეტი (XIV ს) „ხუთჯვრიანი“ ნიშნებით

მათი აზრით, ეს იყო ისლამის დროინდელი მავზოლეუმის მაკეტი, რომლის მიხედვითაც უნდა განეახლებინათ წარმართული საკულტო ნაგებობა. აქ გამოსახული შენობა სტილით ჰგავდა ულუგბეგის მედრესეს შენობას, რის გამოც ივარაუდეს, რომ, თუკი მედრესე სამარყანდში განეკუთვნება XV საუკუნეს, მაშინ ჯუჩი ხანის მავზოლეუმი ხელმეორედ უნდა განეახლებინათ ამავე პერიოდში, მონღოლთა ისლამიზაციის შემდეგ. ერთი სიტყვით,მაკეტზე გამოსახული ნაგებობა უნდა წარმოადგენდეს ისლამისდროინდელ ნიმუშს. სწორედ ამ მაკეტზე მოჩანს კათოლიკური „ხუთჯვრიანი” სიმბოლოები, განლაგებული შესასვლელი კარების ზემოთ[10]. აქედან ცხადდება, რომ XIV საუკუნის II ნახევრიდან ოქროს ურდოში „ხუთჯვრიანი” ნიშანი თანდათან უნდა დამკვიდრებულიყო საკულტო არქიტექტურის სფეროშიც.

საგულისხმოა ერთი ეპიზოდი, რაც უკავშირდება უზბეკ ხანის ვაჟის, ჯანიბეკის (1342-1357 წწ.) დროს ოქროს ურდოში მოსკოვის მიტროპოლიტის ჩასვლას. მღვდელმთავარ ალექსის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფაქტების თაობაზე არსებობს XV საუკუნის II ნახევარში (1480 წ.) შექმნილი ხატი, რომელზეც მღვდელმთავარი გამოსახულია მისი რანგის შესატყვისი სამოსელით, ოღონდაც ზედ „ხუთჯვრიანი” ნიშნებით. ირკვევა, რომ მართლმადიდებელი მღვდელმთავარი ოქროს ურდოში ყოფნისას შემოსილი იყო ასეთივე სამოსლით, მოხატულით „ხუთჯვრიანი” სიმბოლოებით. ეს ჩანს სახატეზე განლაგებული მინიატურული ხატებიდან (16 ცალი), რომელთაგან არაერთ მათგანზე რუს მიტროპოლიტ ალექსის ტანთ მოსავს კათოლიკური სიმბოლოებით განწყობილი სამოსი. ამ ხატითა და სახატეზე მოთავსებული მინიატურული ხატებით ნაჩვენებია ისტორიული

10 Усманова Э.Р. Панюшкина И.П., Искандерова А.Д., Историческая реконструкция сакральной миссии Мавзолея Джучи-Хана; Археология Евразиатских степей, Казань, 2024, გვ. 375-385.

სინამდვილე, როდესაც XIV საუკუნეში მართლმადიდებელი რუსეთის უმაღლესი იერარქი კათოლიციზის ზეწოლის გამო ატარებდა კათოლიკური სიმბოლოთი შემკულ სამოსელს და ოქროს ურდოსდედაქალაქში რუსეთის მიტროპოლიტი მონღოლეთის ხანის დედასთან წარმსდგარა ასეთი სახით. ეს გახლდათ ერთ-ერთი მორიგი ფაქტი „ხუთჯვრიანი" სიმბოლოს შეღწევისა ოქროს ურდოში და, რაოდენ გასაკვირიცუნდა იყოს, ასეთირამ განხორციელდა რუსეთის უმაღლესი სასულიერო პირის მეშვეობით.



რუსეთის მიტროპოლიტი ალექსი „ხუთჯვრიანი" შესამოსლით



ალექსიმიტროპოლიტი კურნავს დედოფალ ტაიდულას (1357 წ)

ამ ფაქტიდან ასევე ირკვევა, რომ რუსეთის სასულიერო ხელოვნებაში გაცილებით ადრე უნდა არსებულიყო კათოლიკური სიმბოლოთმეტყველების შემთხვევები, რაც ეწინააღმდეგებოდა რუსული ხატწერის ტრადიციას და აღიქმებოდა როგორც მართლმადიდებლური სასულიერო კანონიკური წესების დარღვევა. მაგრამ, როგორც ამ მაგალითით ვხედავთ, ოქროს ურდოში, რომელიც უმეტესწილად მოიცავდა რუსეთის ვრცელ ტერიტორიას და, აგრეთვე, შუა აზიის ნაწილსაც, მონღოლთა რწმენა-წარმოგენებში „ხუთჯვრიანი" სიმბოლო გზას იკვლევდა მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი იერარქისა თუ უფრო დაბალი რანგის სასულიერო პირების მეშვეობითაც (?!) ესკი უკავშირდებოდა კათოლიციზმის გეგმაზომიერ გავრცელებას ვრცელ არაკათოლიკურ ეთნო-არეალში. ამ ისტორიული ფაქტით წარმოჩნდება, თუ როგორ იყენებდა პაპის უნია კათოლიკურ სიმბოლოებს სააგიტაციოდ, რათა მიზანდასახულად შეეღწია სხვადასხვა კონფესიის ეთნოსებში, ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, რუსეთის მართლმადიდებელ მრევლსა და, მეორე მხრივ, ოქროს ურდოს გამუსლიმებულ მონღოლებსა და თურქ-ოღუზებში. მეტიც შეიძლება ითქვას, კათოლიკი მისიონრები ახერხებდნენ სათავისოდ გამოეყენებინათ განსხვავებული მრწამსის მქონე ეთნოსთა ურთიერთობები, რათა მათ ერთმანეთის მიბაძვით გაეთავისებინათ კათოლიკური სიმბოლოთმეტყველება. ეს სააგიტაციო პროცესები საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო უცხო გარემოში არსებული რწმენისა თუ წარმოდგენების დათრგუნვით და მის ნაცვლად საყოველთაო კათო-

ლიციზმის დანერგვით. ერთი სიტყვით, დასავლეთი ევროპა საკუთარი სარწმუნოებრივი ექსპანსიით იფართოებდა გეოპოლიტიკურ სივრცეს და ამ ექსპანსიის საწყის ეტაპზე მოხერხებულად ეწეოდა პროპაგანდას კათოლიკური სახისმეტყველების მეშვეობით. ეს ნათლად წარმოჩნდა ოქროს ურდოში არსებული ფაქტებითაც.

უნდა ითქვას, რომ კათოლიკური სიმბოლოთმეტყველების გამოყენება სხვა აღმსარებლობის ეთნოსებში, რასაც, უნებლიეთ, უნდა ემოქმედა და გავლენა მოეხდინა ამ ეთნოსთა ცნობიერებაზე, არ შემოფარგლულა მხოლოდ ჯუჩიდთა ოქროს ურდოთი თუ მონღოლთა სხვა დინასტიების (ჰულაგუიდები, ჩაღათაელნი...) სახელმწიფოებით, არამედ ამგვარი მოვლენები შეიმჩნეოდა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ჩინეთსა თუ ინდოეთში პაპის უნიის მიერ ასევე იგზავნებოდნენ სხვადასხვა ორდენის ეპისკოპოსები და მათი დამხმარე „სუფრაგანები", რომელნიც იმ უცხო ქვეყნებში მისიონრობდნენ ფეხმოუცვლელად და ზოგჯერ სიცოცხლესაც იქ ასრულებდნენ. მათი ნაკვალევი დღესაც შეიმჩნევა იქ შემორჩენილი კათოლიკური არტეფაქტების სახით. მაგალითისთვის მოვიხმობთ ჩინეთში XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე წარგზავნილი ფრანცისკელი ეპისკოპოს-სუფრაგანის საქმიანობას, ვინც ქ. ციუანჩჟოუში (ზაიტონი) მისიონრობდა და იქვე აღესრულა კიდევაც 1328 წელს. ეს გახლავთ ანდრეა და პერუჯი, ვის საფლავსაც ხსენებულ ქალაქში ადევს „ხუთჯვრიანი" სიმბოლოთი აღბეჭდილი ქვა.საფლავის ქვა აღმოაჩინეს XX საუკუნეში, 1946 წელს.



ანდრეა და პერუჯის საფლავის ქვა (XIV ს), ჩინეთი

ამრიგად, პაპის უნია გვიან შუა საუკუნეებში განსაკუთრებით გააქტიურდა შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. მას შემდეგ, რაც განვითარებულ შუა საუკუნეებში კათოლიკმა ჯვაროსნებმა რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში „აითვისეს" მცირე აზიისა და მახლობელი ამოსავლეთის ტერიტორიები, სადაც ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი გეოგრაფიული სივრცე კათოლიციზმის გავრცელებისა და დამკვიდრებისთვის, შემდგომ ეტაპზე რომის პაპმა წინ წამოწია უფრო შორეული ქვეყნების იდეოლოგიურ-რელიგიური ექსპანსიის საკითხი. დასავლეთი ევროპის მესვეურნი თავიანთ პოლიტიკურ მისწრაფებებს ნიღბავდნენ სარწმუნოებრივი ფაქტორით და კათოლიციზმის ამ საყოველთაო დამკვიდრებისას სასულიერო სიმბოლოთმეტყველების დანერგვა გახლდათ საწყისი ეტაპი, სასურველი შედეგისკენ მიმავალ გზასავალზე.

დასკვნა

ჯვაროსნობის ეპოქა გამოირჩეოდა არა მხოლოდ იმით, რომ დასავლეთევროპელთა და მუსლიმთა დაპირისპირებამ გადაინაცვლა მახლობელ აღმოსავლეთში, სადაც მიმდინარეობდა რამდენიმესაუკუნოვანი საომარი მოქმედებები, არამედ ამიერიდან კათოლიკურმა სამყარომ წამოიწყო იდეოლოგიური შეტევა აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საყოველთაო ხასიათი შეიძინა კათოლიციზმის გავრცელებამ აზიის ეთნოსთა შორის, მიუხედავად იმისა, თუ რა აღმსარებლობისანი იყვნენ ისინი - „სქიზმატიკოსი" მართლმადიდებელნი თუ მუსლიმნი. ჯვაროსნობის სულისჩამდგმელთ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ კათოლიკური ინტეგრაციის განხორციელებისთვის არ იყო საკმარისი ოდენ სხვათა მიწების, სხვათა მამულის, სხვათა ქვეყნებისა და სახელმწიფოების დაპყრობა, მიზნის მისაღწევად აუცილებელი გახლდათ განსხვავებული აღმსარებლობა ჩაენაცვლებინათ კათოლიკური იდეოლოგიით და ამ გზით ემართათ არაკათოლიკი ეთნოსების ცნობიერება, რომელთა შორის იგულისხმებიან როგორც არაქრისტეანები (წარმართები, მუსლიმები, ბუდის-ტები...), ასევე ქრისტეანული სარწმუნოების არაკათოლიკი (სქიზმატიკოსნი, ნესტორიანნი, იაკობიტნი, მელქიტები...) მოსახლეობა. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა სარწმუნოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში შეღწევა და დამკვიდრება არ გახლდათ მარტივად მოსაგვარებელი საკითხი და იგი მოითხოვდა სხვადასხვა ხერხებით თანმიმდევრულ სწრაფვას მიზანდასახულობისკენ. იმთავითვე დიდი ყურადღება ეთმობოდა კათოლიკური სიმბოლოთ-მეტყველების დამკვიდრებას სხვათა სასულიერო თუ საერო ხელოვნებაში. ამგვარი სიმბოლო იყო არაერთი და მათგან ყურადღებას შევაჩერებთ „ხუთჯვრიან" ნიშანზე, ქრისტეს ჯვარცმას რომ გამოხატავდა. სტატიაში ოქროს ურდოსა და შუა აზიის მონღოლური სახელმწიფოების სინამდვილიდან მოხმობილი მაგალითებით ცხადლივ წარმოჩნდა კათოლიკური სიმბოლოთმეტყველების გავრცელების პროცესის ერთი ეტაპთაგანი, რა დროსაც „ხუთჯვრიანი" ნიშანი მიზანდასახულად ინერგებოდა თათარ-მონღოლთა საერო და საკულტო სფეროებში (მონეტა, ბარელიეფი...). გამომდინარე აქედან, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კავკასიაში შემოჭრილ თათარ-მონღოლთა ლაშქარს შესაძლებელია, ჰქონოდა ჯვრიანი ან „ხუთჯვრიანი" ბაირაღები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Бартольд В.В., Сочинения, т. II, часть 2, Москва, 1964.

уряшкин А.Н., Время собирать камни, Семей, 2025.

Мурадов Р.Г., Археологические следы раннего христианства в Северной Парфии и Маргиане, труды ОТАКЭ, т. XV, Ашхабад, 1954.

КСИИМК-КСИА, № 28, Москва, 1946.

КСИИМК-КСИА, № 120, Москва, 1962.

Монеты ханов Улуса Джучиева, или Золотой орды, С-пб., 1832.

Брагин А.О., Камышев А.М., Клад Тимуридский медных монет Иссык-куля, сб., Культурное наследие Евразии, Алмата, 2016.

Железняков Б.А., Мавзолеи и ханака Средневекового Каялыка, Сб., научных статей, Алмата, 2016.

Усманова Э.Р. Панюшкина И.П., Искандерова А.Д., Историческая реконструкция сакральной миссии Мавзолея Джучи-Хана; Археология Евразиатских степей, Казань, 2024.

Nino Javelidze

THE "FIVE-CROSS" SYMBOL ON SECULAR AND CULTIC ARTIFACTS OF THE TATAR-MONGOLS

Abstract

The era of the Crusades was marked not only by the relocation of the confrontation between Western Europeans and Muslims to the Near East, where military conflicts continued for several centuries, but also by the fact that from this period onward the Catholic world launched an ideological attack against Eastern countries. In other words, the spread of Catholicism among Asian ethnic groups acquired a universal character, regardless of their religious affiliation—whether they were "schismatic" Orthodox Christians or Muslims. The ideologists of the Crusades clearly understood that the realization of Catholic integration could not be achieved solely through the conquest of foreign lands, territories, countries, and states. Rather, to attain this goal, it was necessary to replace alternative confessions with Catholic ideology and thereby shape the consciousness of non-Catholic ethnic groups, which included both non-Christian populations (pagans, Muslims, Buddhists, etc.) and non-Catholic Christian communities (schismatics, Nestorians, Jacobites, Melkites, etc.).Penetration into and establishment oneself within the religious and cultural life of the peoples of the Near East was not an easily solvable task and required a consistent and purposeful pursuit using various methods. From the very outset, considerable attention was devoted to introducing Catholic symbolism into the spiritual and secular arts of other peoples. Among the many such symbols, this article focuses on the "five-cross" sign, which represented the Crucifixion of Christ.

Based on examples drawn from the historical realities of the Golden Horde and the Mongol states of Central Asia, the article clearly demonstrates one stage in the process of disseminating Catholic symbolism, during which the "five-cross" sign was deliberately introduced into the secular and cultic spheres of the Tatar-Mongols (coins, bas-reliefs, etc.). Consequently, there is reason to assume that the Mongol army that invaded the Caucasus may have carried banners bearing crosses or the "five-cross" symbol.